ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

თებერვალი 2023

საქართველო

საქართველოს გასვლითი ტურიზმი 2022 წელს

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

თებერვალი 2023

- 2022 წელს **საქართველოს რეზიდენტების გასვლითი ვიზიტების** რაოდენობა სამჯერ გაიზარდა 2021 წელთან შედარებით, 1.7 მილიონ ვიზიტს მიაღწია და პანდემიამდელი მაჩვენებლის 71% შეადგინა.
- 2022 წელს გასული ვიზიტორების მნიშვნელოვანმა ნაწილმა **დანიშნულების ადგილად თურქეთი** (54%) აირჩია, რომელსაც მოსდევდა **რუსეთი** (14%). აღსანიშნავია, რომ რუსეთში გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ პანდემიამდელ რიცხვს 49%-ით გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2022 წლის III კვარტალში აღმოჩნდა, როდესაც ვიზიტების რაოდენობამ 143%-ით გადააჭარბა 2019 წლის III კვარტლის მაჩვენებელს.
- 2022 წელს **ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა** 6.1 ღამეს უდრიდა, რაც 2019 წელთან შედარებით 2.17 ღამით მეტია.

*გამავალი ვიზიტორების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გროვდება საქართველოს რეზიდენტი პირის საერთაშორისო ვიზიტის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნებისას.

- 2022 წელს **ვიზიტების მთავარი მიზანი იყო საყიდლები**, რამაც მიაღწია ვიზიტების საერთო რაოდენობის 41%-ს, მაშინ, როცა 2019 წელს ეს რიცხვი 29%-ს უდრიდა. საყიდლების წილი ასევე გაიზარდა გამსვლელი ვიზიტორების მთლიან ხარჯებში და მიაღწია 759 მილიონ ლარს, რაც 16%-ით მეტია 2019 წლის დანახარჯებთან შედარებით.

- 2023 წლის თებერვალში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2023 წლის იანვართან შედარებით 1.6%-ით შემცირდა, ხოლო 2022 წლის თებერვალთან შედარებით - 9.2%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასების ზრდა განსაკუთრებით მაღალი საოჯახო სასტუმროებისთვის აღმოჩნდა (18.3%).
- აღსანიშნავია, რომ თებერვალში ყოველთვიური (6.4%) და წლიური (20%) სასტუმროს ფასების ინდექსი ყველაზე მაღალი იყო **სამცხე-ჯავახეთში,** რაც შეიძლება **ბაკურიანში ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატით აიხსნას.**

გასვლითი ტურიზმის დინამიკა

- 2022 წელს საქართველოს რეზიდენტების მიერ გასვლითი ვიზიტების რაოდენობა 2021 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა და 1.7 მილიონ ვიზიტს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გასვლითი ტურიზმის აღდგენა ეტაპობრივად მოხდა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში სწრაფი ზრდა აჩვენა. საერთო ჯამში, 2022 წელს ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის 71.3%-ს მიაღწია.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- საქართველოდან **გამსვლელი ვიზიტორების მთავარი დანიშნულების ქვეყნების სტრუქტურა** პანდემიამდელის მსგავსი აღმოჩნდა, აზერბაიჯანის გამოკლებით. აზერბაიჯანში ვიზიტებმა გასვლითი ვიზიტების მხოლოდ 1% შეადგინა, რაც გაცილებით დაბალია 2019 წლის მაჩვენებელზე (23%). ეს სრულად აიხსნება აზერბაიჯანის მიერ სახმელეთო საზღვარზე შენარჩუნებული მკაცრი რეგულაციებით. 2022 წელს გამსვლელი ვიზიტორების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად **თურქეთი** (54%) აირჩია, რასაც მოსდევდა **რუსეთი** (14%), **ევროკავშირი** (11%) და **სომხეთი** (7%).

- თურქეთში გასვლითმა ვიზიტებმა შეადგინა 2019 წლის საერთო რაოდენობის 89%, ხოლო **რუსეთისთვის მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ რიცხვს** (49%).

გასვლითი ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები

- 2022 წელს ვიზიტის **ძირითადი მიზნების მიხედვით** გასვლითი ვიზიტების განაწილებამ 2019 წელთან შედარებით გარკვეული განსხვავებები აჩვენა. 2022 წელს მეგობრებისა და ნათესავების მონახულების წილი მთლიან ვიზიტებში შემცირდა 14 პროცენტული პუნქტით, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვით. ამავდროულად, **საყიდლების** წილი გაიზარდა 12 პროცენტული პუნქტით და 2022 წელს ვიზიტების განხორციელების ყველაზე ხშირი ძირითადი მიზანი გახდა.

- **გამსვლელი ვიზიტორების ხარჯებმა** 2022 წელს 1.8 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2019 წელთან შედარებით მხოლოდ 12%-ითაა ნაკლები.

- აღსანიშნავია, რომ **ხარჯების აღდგენა** ეტაპობრივად მიმდინარეობდა და 2022 წლის IV კვარტალში 5%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს.

- 2022 წელს **ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა** 6.1 ღამეს უდრიდა, რაც 2019 წელთან შედარებით 2.2 ღამით მეტია.

- 2022 წელს ვიზიტორთა **ხარჯების განაწილება** 2019 წლის მსგავსია, საყიდლების წილის მნიშვნელოვანი ზრდისა (მთლიანი დანახარჯების 42%) და რეკრეაციისა და განთავსების წილის შემცირების გამოკლებით.

საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით (2019, 2022)



საზღვარგარეთ გასულ ვიზიტორთა ხარჯების განაწილება (2019, 2022)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

*გასვლითი ტურიზმის სტატისტიკური სამუშაოები შეჩერებული იყო 2020 წლის მეორე კვარტლიდან 2022 წლის პირველ კვარტლამდე.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[1] 2023 წლის თებერვალში, 2023 წლის იანვართან შედარებით, 1.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 16.7%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში (6.4%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი თბილისში (-5.4%).
- 2023 წლის თებერვალში, 2022 წლის თებერვალთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 9.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.8%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 18.3%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო სამცხე-ჯავახეთსა (20%) და აჭარაში (20%), ყველაზე ნაკლები კი მცხეთა-მთიანეთში (-3.7%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 თებ/ 2023 იან	2023 თებ/ 2022 თებ	2023 თებ/ 2023 იან	2023 თებ/ 2022 თებ	2022 იან/ 2022 დეკ	2023 იან/ 2022 იან
კახეთი	-2.4%	7.9%	-2.2%	16.2%	-2.7%	2.6%
იმერეთი	3.3%	3.5%	2.8%	-8.0%	4.1%	22.5%
გურია	-0.1%	13.6%	-0.1%	13.6%	-	-
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%	-	-
აჭარა	2.7%	20.0%	-1.5%	15.6%	40.5%	86.3%
რაჭა	0.0%	19.1%	-	-	0.0%	19.1%
შიდა ქართლი	0.0%	15.7%	0.0%	19.5%	0.0%	13.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1.4%	11.1%	-13.5%	13.6%	7.0%	9.0%
სამცხე-ჯავახეთი	6.4%	20.0%	18.3%	24.8%	2.2%	13.6%
მცხეთა-მთიანეთი	0.1%	-3.7%	0.3%	2.7%	0.0%	-8.3%
თბილისი	-5.4%	4.2%	-4.2%	4.7%	-47.9%	-3.2%
სულ ფასების % ცვლილება	**-1.6%**	**9.2%**	**-1.6%**	**8.8%**	**-16.7%**	**18.3%**

1 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის თებერვალში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[2] **140 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **236 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა **116 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა თებერვალში **392 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 562 ლარი შეადგინა, თბილისში - 489 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 454, ხოლო გურიაში - 339.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 თებერვალი, ლარი)



2 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	213.1	439.2	604.4	527.0	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	-	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6	246.1	566.0	379.3	1244.9	393.7*	748.8*	1377.8*	999.4*	3519.7*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7	37.1	62.6	64.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	-	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	118.1	111.4	106.0	119.3	-247.2	-1.0	-8.7	5.4	-3.0	-7.4	10.6*	6.9*	16.1*	-2.0*	31.5*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org